საგარეო საქმეთა სამინისტრო

# საქართველო

13692-01-2-201804041523

№ 01/13692
04/04/2018

GRASS REFORMANDIA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 41
თარიღი: 10 04 2018

**„საქართველოს რეფორმების ასოციაციას"**
/ ქ. თბილისი, მიცკევიჩის 27;
ელ. ფოსტა: Irina_gurgenashvili@yahoo.com /

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში 2018 წლის 5 მარტს შემოსულ (რეგისტრაციის N9336/01) თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს მ/წ 19 მარტის N01/10721 წერილზე დამატებით გაცნობებთ, რომ ქ. ტრაპიზონში საქართველოს გენერალური საკონსულოს მიერ ხოფას მთავარი პროკურატურიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ოქტომბრის თვეში მომხდარ ინცინდენტთან დაკავშირებით, დაიწყო გამოძიება (საქმე №2017/1923 - SGG65/BA391L სახელმწიფო სანომრე ნიშნის მქონე ავტომანქანის დაწვის ფაქტთან დაკავშირებით), რომელიც ჯერჯერობით დასრულებული არ არის.

ამასთან, გაცნობებთ, რომ მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით, საქართველოს მოქალაქის თ. ა. -ს ბრალეულობა არ დადგინდა და 2017 წლის 12 დეკემბრის №2017/1883 სასამართლო გადაწყვეტილებით მას ყველა ბრალი მოეხსნა.

პატივისცემით,
ირაკლი ქოიავა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი